

„ნაბაკვესა და ოტობაიაში მდებარე გამშვები პუნქტები ერთ თვეში დაიხურება“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტმა ადმინისტრაციულ საზღვარზე „გამშვები პუნქტების განთავსების შესახებ დადგენილებაში“ ცვლილებები შეიტანა. იურიდიული განყოფილების უფროსის ლაშა ცაავას განცხადებით, დადგენილების პროექტის თანახმად, გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში ნაბაკვესა და ოტობაიაში მდებარე გამშვები პუნქტების დახურვა იგეგმება.

„რჩება ორი პუნქტი. იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართება ტრანსპორტის მიმოსვლა, მივიღებთ გადაწყვეტილებას კიდევ ერთი გამშვები პუნქტის დახურვის შესახებ“, - განმარტა ლაშა ცაავამ.

ე.წ. პრემიერ - მინისტრმა ბესლან ბარციცმა განაცხადა, რომ გასულ წელს საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, გალის რაიონის დაბალი ზონის ტერიტორიაზე, საზღვრის გასწვრივ მდებარე გზის შესაკეთებლად, 150 მილიონი რუბლი დაიხარჯა და მთლიანად აღდგენილია გზის საფარი. გარდა ამისა, გალის რაიონის ადმინისტრაციამ ავტობუსი დანიშნა, რომელიც ენგურის ხიდამდე მოძრაობს.

28.12.2016 sputnik-abkhazia <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20161228/1020156311/abxaziya-zakroet-dva-punkta-propuska-na-granice-s-gruziej.html>

„აფხაზური პასპორტების მოქმედების ვადა გაზაფხულამდე გაგრძელდა“

აფხაზური პასპორტების მოქმედების ვადა 2017 წლის 5 აპრილამდე გაგრძელდა. ამის შესახებ დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტის იურიდიული განყოფილების უფროსმა ლაშა ცაავამ განაცხადა. მისი თქმით, შესაბამის დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა, „ახალი პასპორტის მიღების მსურველთა დიდმა ნაკადმა და მოახლოებულმა არჩევნებმა განაპირობა“.

ე.წ. პრემიერ - მინისტრის ბესლან ბარციცის განმარტებით, უპირველეს ყოვლისა, ეს საპენსიო ასაკის მოქალაქეებს ეხებათ, რადგან მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს ოპერატიულად მოაგვაროს პასპორტის შეცვლასთან დაკავშირებული პრობლემები.

თავის მხრივ, ე.წ. შს მინისტრმა ასლან კობახიამ დაადასტურა, რომ 1000-ზე მეტი პასპორტი უკვე მზადაა და მფლობელებს მათი მიღებანების მიერ დროს შეუძლიათ. მან აღნიშნა, რომ სამუშაოები გრაფიკის თანახმად მიმდინარეობს და განცხადების შეტანის შემდეგ, ახალი პასპორტები ორ კვირაში მზადდება.

28.12.2016 АПСНЫПРЕСС <http://www.apsnypress.info/news/srok-deystviya-pasportov-grazhdanina-abkhazii-prodlen-do-5-aprelya/>

„აფხაზეთის პარლამენტმა კანონში ცვლილებები შეიტანა“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა „უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა. აღნიშნული კანონი არეგულირებს დე-ფაქტო აფხაზეთის აღმოსავლეთ რაიონის (გალის რაიონი) მოსახლეობის სამართლებრივ მდგომარეობას.

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა ე.წ. პარლამენტში, დიმიტრი შამბამ, კანონპროექტის წარდგენისას აღნიშნა:

„კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას „უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლში, რომელიც არეგულირებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის წესს“.

დიმიტრი შამბას თქმით;

„აქამდე არსებობდა ბინადრობის ნებართვის გაცემის მხოლოდ ორი საფუძველი. პირველი-ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც ქორწინებაში იმყოფება აფხაზეთის მოქალაქესთან. მეორე-ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც დაბადებულია აფხაზეთის ასსრ-ში და მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების მომენტიდან. მოცემული ცვლილება ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემის მესამე საფუძველს და ეს არის ბინადრობის ნებართვის გაცემა არა მოქალაქეობის არმქონე პირზე არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც დაბადებულია აფხაზეთის ასსრ-ს გალის რაიონში და მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრიდან არა ნაკლებ 10 წლისა“.

შემოთავაზებული ცვლილებების წინააღმდეგ გამოვიდა ე.წ. დეპუტატი იური ზუხბა, რომლის თქმითაც:

„გამოდის, რომ ჩვენ ვღებულობთ კანონს ცალკე აღებული რაიონისთვის. ჩემი აზრით ეს საფრთხის შემცველია, რადგან საზღვართან ახლოს ჩვენ მივიღებთ დიდი რაოდენობით ხალხს, რომელთაც ჩვენ ოფიციალურად ვაღიარებთ საქართველოს მოქალაქეებად“

ამის საპასუხოდ დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა განაცხადა:

„ის ფაქტი, რომ ჩვენ გავცემთ ბინადრობის ნებართვას უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და ამით ვაკანონებთ მათ სამართლებრივ სტატუსს, არ არის კარგი, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა შეიქმნებოდა თუ ჩვენ აღნიშნულ პირებზე გავცემთ ბინადრობის ნებართვას, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირთათვის. ამ შემთხვევაში მათთვის მაქალაქეობის მიღებისკენ გზა ხსნილი იქნება, რადგანაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც გააჩნია ბინადრობის ნებართვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამი წლის შემდეგ შეუძლია მოგვმართოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე. იმ შემთხვევაში კი თუ ჩვენ ბინადრობის ნებართვას გავცემთ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მას არ ექნება უფლება მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა მანამ, სანამ არ გამოვა უცხო ქვეყნის მოქალაქეობიდან“.

„უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ დე-ფაქტო აფხაზეთის კანონში ცვლილებები ე.წ. დეპუტატების ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

29.12.2016 НУЖНАЯ ГАЗЕТА <https://abh-n.ru/pravovoe-polozhenie-zhitelej-vostochnyx-raionov-abxazii-budet-uregulirovano/>

04.01.2017